№ 3 ყოველდღიური გაზეთი

წელიწადი 1. ოთხშაბათი 4 ივლისი. 1912

# ჩვენი ცხოვრება

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ [illegible] რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., [illegible] ზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. [illegible] რა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

? ? ?

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. და 50 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან. რედაქტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე.

ფულის გამოსაგზანი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе.

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ყოველ კონკურენციის გარეშე.

დეპეშის ადრესი: Фабрика Квергелидзе и Рамишвили.

მ—3—1

შეუმჩნევა „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „ჩვენი გემო“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადული წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით მათე გორგილაძე და ამხანაგობა.

მისამართი: სუდებნი ქუჩა, სახლი № 6. 20—3—1

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გაზეთი

წელიწადი მეორე „თემი“ წელიწადი მეორე

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ. რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая 6, редакція газеты „Т Е М И“. რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე

ექიმი ირ. ცეხანოვსკი ღებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

ექიმი მ. მგალობლიშვილი იღებს ბავშთა, შინაგან და საბებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.

გაგარინის ქ. № 5, პოლიცმეისტრის კანცელარიის გვერდზე. 3—თ.

თფილისი, ნაძალადევი.

ექიმი კბილისა

ა. (გ) ბ. დოლიძე გადავიდა ნაძალადევში რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში.

სწამლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას, აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგის კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს, დილის 8—2 ს-მდი და საღ. 4—7 საათ.

მ—3—1

**Курсистка** Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметамъ, (долголѣтняя практика) специальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

ხონში

მიიღება ხელის მოწერა სარედაქციო ფასებში გაზეთ

„ჩვენი ცხოვრება-ზე“

ს. ჩირგაძის ტყავეულობის მაღაზიაში, სამკითხველოს გვერდით.

გვყავს გაზეთის საკუთარი დამტარებელი. მსურველთ შეუძლიათ მიიღონ გაზეთი თავიანთ ბინაზე.

## ქუთაისი, 4 ივლისი.

რუსულმა გაზეთებმა უკვე გვამცნეს, რომ სენატორმა მანუხინმა მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით უკვე შეიმუშავა მუშათა დაქირავების ახალი პირობები. მრეწველთა ამხანაგობის გამგეობამ გადაჭრილი პასუხი უნდა მისცეს: ღებულობს, თუ არა, ის ახალ პირობებს. რას იზამს ლენის ამხანაგობა? ეს ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. როგორც ბოდაიბოდან იუწყებიან, პირობის ახალ პროექტში შეტანილია მუშების თითქმის ყველა მოთხოვნილება, რომელიც მათ წამოაყენეს გაფიცვის დროს, და სხვათა შორის, განსაკუთრებულ პირობებში, მძიმე შრომის დროს—6 საათის სამუშაო დღე.

ლენის ამბები მეორე თვეა, რაც აღელვებდა მთელი რუსეთის საზოგადოებას.

გავიხსენოთ მოკლედ-რაში იყო საქმე? რამ გამოიწვია არაჩვეულებრივი ინტერესი და არაჩვეულებრივი ზომა—სენატორის რევიზიის დანიშვნა?

შორეულ ციმბირის მიყრუებულ ლენის მიდამოებში, სადაც ოქროს მდიდარი მადნებია, მიმდინარე წლის 29 თებერვალს გაიფიცა 6 ათასამდი მუშა და ლენის ამხანაგობას, რომელსაც სათავეში უდგას ბევრი წარჩინებული პირი და ფულიანი ტუზები, წაუყენა მთელი რიგი წმინდა ეკონომიური მოთხოვნილებებისა. მათ შორის ასეთი პუნქტებიც იყო: ზდილობიანი მოპყრობა, ანგარიშის გასწორების მოსპობა ამხანაგობის დუქნის ტალონებით, რაც კანონით პირდაპირ აკრძალულია, საექიმო დახმარების გაუმჯობესება, საანგარიშო წიგნაკების დარიგება, ზედმეტი მუშაობისათვის შეთანხმებისამებრ ქირის მიცემა, 8 საათის სამუშაო დღე და სხვ. ამ მოთხოვნილებათა შესახებ თვით „Нов. Время“-ც კი ასე სწერდა: „მუშათა ეს მოთხოვნანი შედარებით ძალიან ზომიერია და არ შორდება საერთო-სამოქალაქო და სპეციალურ მუშათა კანონმდებლობის ფარგლებს“-ო.

მთელი თვის განმავლობაში გაფიცვა მშვიდობიანათ მიმდინარეობდა. ამხანაგობასთან მოსალაპარაკებლათ ისპრავნიკისა და სამთო ინჟენერის, ტულჩინსკის რჩევით მუშებმა წარმომადგენლები აირჩიეს. ყველაფერი რიგზე იყო, მარა გაფიცვის გაგძელებამ ავნო ამხანაგობის აქციონერების ჯიბეს. და აი აქედან იწყება „მოქმედება“! დაატუსაღეს მუშათა წარმომადგენლები, გამოიწვიეს ჯარი და 4 აპრილს, როტმისტრ ტრეშჩენკოს ბრძანებით მოკლულ იქნა 270 კაცი, დაჭრეს 250. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა მთელ რუსეთს. სახელმწ. დუმაში შეკითხვა იქნა შეტანილი; საზოგადოება და თითქმის ყველა მიმართულების პრესა ერთხმათ მოითხოვდა საშინელი ტრაღედიის მონაწილეთა დასჯას. ამ ამბავს მუშები ბევრ ადგილას გაფიცვებით გამოეხმაურნენ. უმაღლესათ დაინიშნა სენატორის რევიზია, რომლის მეთაურობა მიენდო სენატორ მანუხინს. და აი დღეს ცოტათი მაინც ფარდა ეხდება ლენის ამხანაგობის გამგეთა „მოღვაწეობას“, ირკვევა, თუ რისთვის შეიქნა საჭირო ამდენი სხვერპლი!

ამტკიცებდენ თითქოს მსხვერპლი იმისთვის გახდა საჭირო, რომ გაფიცვა პოლიტიკური ხასიათის იყო და მას გარეშე ელემენტები ხელმძღვანელობდენო. ლენის ამხანაგობის აქციონერთა გამგეობის თავმჯდომარემ, ვაჭრობისა და მრეწველობის ყოფილმა მინისტრმა ტიმირიაზევმა გაფიცვის პოლიტიკური ხასიათი იმაში დაინახა, რომ მუშებმა მოითხოვეს მაღაროების ადმინისტრაციას მათთვის „თქვენობით“ მიემართა და არა „შენობით“.

ასეთი მტკიცების სიყალბე იმ თავითვე აშკარა იყო, მარა სენატორის რევიზიამ დღეს ყველასათვის ცხადი გახადა მუშების სიმართლე. სენატორმა მანუხინმა დაამტკიცა ყველა ის მოთხოვნილებები, რომლებიც გაფიცულმა მუშებმა წამოაყენეს და ზოგიერთ მუხლებში უფრო შორსაც წავიდა, როგორც 6 საათის სამუშაო დღის შემოღება იქ, სადაც მუშაობის ძნელი პირობებია. მუშები კი მარტო 8 საათის სამუშაო დღეს მოითხოვდენ! მუშათა ბინების დათვალიერებამ, როგორც გაზეთები იტყობინებიან, რევიზიაზე მეტათ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა და საერთოდ დაარწმუნა ის, რომ ლენის ამხანაგობის მაღაროებში ბევრი უკანონობა და უსამართლობა ხდებოდა.

ამხანაგობის წიგნებში რევიზიას აღმოუჩენია, რომ ცნობილ როტმისტრს ტრეშჩენკოვს ამხანაგობიდან ქრთამები აუღია, რისთვისაც რევიზიამ დაადგინა—სასამართლოში მისცეს იგი.

რით დაბოლოვდება ლენის ამბები? ბოლო მოეღება ლენის ამხანაგობის უკანონო მოქმედებას, თუ არა—ეს ბევრათ დამოკიდებულია რევიზიის მოქმედებაზე.

P. S. ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, როცა პეტ. დეპ. სააგენტომ ქვეყანას აუწყა, ლენის მუშებსა და ამხანაგობის შუა შეთანხმება არ მოხდა, და მუშებმა გადასწყვიტეს ანგარიში აიღონ და გაშორდენ საბედისწერო ადგილს. ცხადია, ოქროს ლენის მრეწველთა ამხანაგობა და მისი გამგეები არხეინათ გრძნობენ თავს, თუ ყველა იმის შემდეგ, რაც მათი მეოხებით იქ მოხდა, ისინი ასე წარბშეუხრელათ მოქმედებენ.

## სახელმწიფო დუმის ამრჩეველთა საყურადღებოთ.

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ქონებია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუნდაც ერთი ოთახი ქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს დუმის არჩევნებში.

ვინც ბინის გადასახადს არ იხდის, ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, ის მოვალეა, რომ დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის „უპრავაში“ (ამ თვემდე ქუთაისში, 8 აგვისტომდე თფილისში და სხვა) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიაში არ შეიტანებენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წელიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა—ერთი წელიწადი, მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, მას არ ერთმევა არჩევნების უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არს.

განცხადება ეხლაც შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს (ქუთაისში ეს მოხთება 12 კვირიკობისთვეს შემდეგ, თბილისში კი 8 აგვისტოს), შემდეგ კი დაგვიანებული იქნება. ისინი, ვისაც ჯერ არ შესრულბია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი, და ამის გამო ეხლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცთილობდენ, რომ ეს დრო არ გაუშვან ხელიდან შემდეგ, როცა ერთი წლის ვადა გავა. განცხადება უნდა შეტანილ იქნას ქალაქის თავის სახელზე საქმე დღით, დილის ათ საათიდან. აი განცხადებების ფორმა: ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამა და ამ ქუჩაზე ბინას, გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო დუმის საარჩევნო სიაში. ბოლოში მიეწერება მთხოვნელის სახელი, გვარი და რიცხვი.

განცხადებების დროს თან უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინა გაქვთ დაქირავებული.

ასეთ მოწმობათ გამოდგება ბინის დაქირავებისას დადებული კანტრაქტები, თუ მისი შესრულების დროს ხელის მოწერა დაამტკიცა ან ნოტარიუსმა და ან ვინმე მართებლობის პირმა.

ვინაიდან ასეთი კანტრაქტები ძვირათ იკვრება და ჩვეულებრივ შინაურულ პირობებით, ან კიდევ უბრალო მოლაპარაკებით ხთება ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას, უნდა წარუდგინოს ან ბინის წიგნი, თუ ასეთი მოიპოვება, ან სახლის პატრონის ან მისი მოადგილის მოწმობა, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ქირაობდა. დასახელებულ დოკუმენტების შემოწმების შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან შესაფერ მოწმობას. არც ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და არც პოლიციის მერ მიცემულ მოწმობას საგერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

ვინაიდან ყველაფერი ეს კარგა დროს მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ეხლავე შეუდგენ თადარიგს.

როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი განცხადება უნდა რუსულ ენაზე დაიწეროს.

## ახალი ამბები.

**ლონაჩევსკი ქუთაისში.** სწავლული ბოტანიკოსი ა. ა. ლონაჩევსკი ამ ჟამათ მოგზაურობს კავკასიაში და ათვალიერებს კავკასიის ყველა კუთხის მცენარეულობა-ყვავილებს. ლონაჩევსკი ამ დღეებში ქუთაისსაც ესტუმრება აქაურ ყვავილების დასათვალიერებლათ და შესასწავლათ.

✦ ქუთაისში მოელიან რუს ლექტორს ბ-ნ ვრადის, ის აქ წაიკითხავს ლექციას „ახალ ქვეყანაზე“. ვრადის ამავე თემაზე ლექცია წაუკითხავს ქ. ბათომში და საკმაოთ კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია.

✦ **წარმოდგენა.** შაბათს 7 ივლისს ქუთაისის დრამატიული დასის მსახიობი ქალის ქ-ნ ანდრონიკაშვილის მონაწილეობით დ. ლანჩხუთში გაიმართება წარმოდგენა. ითამაშებენ „ქრისტინეს“.

✦ **გასამართლება.** პავლე გარდავაძეს, გიორგაძეს, ახობაძეს, ჩაკვეტაძეს, ხურციშვილს და სხვებს, რომელთაც ბრალდებათ ყალბი ფულების გაკეთება და გასაღება და რომელთაც ქუთაისის საოლქო სასამართლოსაგან მისჯილი აქვთ ზოგს 10 და ზოგს 6 წლის კატორღა, სამოსამართლო პალატა გაასამართლებს 7 მარიობისთვეს. ბრალდებულთა დამცველებათ გამოვლენ თფილისელი ვექილები: კლანკი, დოლუხანოვი და ქუთათური: გელაზაროვი და გრიგოლ გიორგაძე.

✦ **ახალი ცნობები.** ამ ჟამად პარკის ფასებმა საზოგადოთ ქუთაისის გუბერნიის ყველა სავაჭრო ბაზრებზე შედარებით აიწია. ხონში ფუთი იყიდება 13 მ. და 50 კაპ., ქუთაისში 14 მანეთად, ზუგდიდში 11—12 მ., ოზურგეთში 12—13 მ., სამტრედიაში 13—14 მ., სენაკში 12 13 მ.

✦ ამ დღეებში ქუთაისის საპყრობილედან რუსეთის საკატორღო ციხეში გაგზავნეს გურიის რესპუბლიკაში მონაწილეობის მიღებისათვის დასჯილი მასწავლებელი მიხაკო ახალაძე.

✦ ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის განკარგულებით ს. ონტოფოს (სენაკის მაზრაშია) ერთ კლასიანი სახალხო სასწავლებელი ს. სამიქაოში გადააქვთ.

✦ ქუთაისის ბაზარზე ჯერ-ჯერობით დაახლოვებით შემოვიდა 12,000 ფუთი აბრეშუმის პარკი.

✦ ქუთაისის გუბერნატორი ბ-ი სლავოჩინსკი გაემგზავრა ს. წყალტუბოს. მის თანამდებობას ასრულებს ვიცე-გუბერნატორი ბ-ი მაკაროვი.

✦ თფილისიდან ბ-ნ იოსებ ქუთათელაძეს ქუთაისში ჩამოყვა კავკასიის საბრეშუმო სადგურის გამგე ბ-ი ივანოვი. ივანოვმა დათვალიერა ქუთაისში აბრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუმის საწონათ მოწყობილი საზოგადო სასწორი, ინახულა იმ მიწის ნაჭერი, რომელიც შემოფარგლულია და დანიშნულია მომავალ საბრეშუმო სადგურის განყოფილების ბინის ასაგებათ. ქუთაისიდან ივანოვი ხონში გაემგზავრა. იქიდან დაბრუნდა ისევ თფილისში. ბ-მა ივანოვმა მოუწონა იოსებ ქუთათელაძეს საზოგადო სასწორების მოწყობა და მათზე ფხიზელი თვალყურის დევნება.

✦ ბათუმის ქალაქის თვითმართველობამ წერილობითი სთხოვა ქუთაისის ქალაქის გამგეობას—ეცნობებინა მისთვის ქუთაისში არსებული ნიხრი სანოვაგეზე. 3 ივლისს გამგეობამ ბათუმის თვითმართველობას შეატყობია ქუთაისში არსებული ფასები სანოვაგეზე. ხორცი პირველი ხარისხის ფასობს ქუთაისში 15 კ. მეორე 14, ტომარი ფქვილი პირველი ხარისხის (5 ფუთი) 11 მ. და 50 კ, მეორე ხარისხის 11 მ. 25 კ.

✦ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საზღვარ-გარეთიდან შემდეგი ამბავი მოუვიდა. ბ-ნ იასონ ბაქრაძეს, რომელიც საზღვარ გარეთ იყო გამგზავრებული ბაღდათში აღმოჩენილ ნავთიანი ალაგების ექსპლოტაციის შესახებ მოსალაპარაკებლათ და პირობის შესაკრელათ, უკვე საქმე გაუკეთებია და მალე ჩამოვა. იმისვე ცნობით ბაღდათში გარიგების თანახმად საზღვარ-გარეთელი კაპიტალისტები მოიტანებენ მანქანებს და შეუდგებიან მალე მუშაობას.

**შეცდომების გასწორება.**

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში პირველ გვერდზე მეოთხე სვეტში სწერია: სწრაფი ნაბიჯით გააქანებდა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ წარმოების გზაზე. უნდა იყოს: წარმატების გზაზე. ფელეტონში, მესამე სვეტში, სადაც ნათქვამია: „ნაციონალური აზროვნება მისი უფრო საყვარელი ფორმით—უნდა იყოს: მისი უფრო რადიკალური ფორმით და სხვ.

**თფილისი**

სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მოსამსახურე ამრჩეველ პირთა სიების წარსადგენ ვადათ დანიშნულია 10 ივლისი, რასაც გამგეობა კიდევ აცნობებს დაწესებულებებს. საერთო სიების შედგენის დამთავრება განზრახულია 20 ივლისისათვის ისე, რომ სიები დასათვალიერებლათ გამოფენილი იქნას 8 აგვისტოსთვის.

✦ წარსულ შაბათს, სარედაქციო კომისიამ გასინჯა მხატ. გრინევსკის მიერ წარმოდგენილი ესკიზები იმ სურათებისა, რომელნიც შეეხებიან „ოთარაანთ ქვრივს", ,,გლახის ნაამბობს'' და ,,გლახა ჭრიაშვილს''. სარედაქციო კომისიას დასწრებიან აგრეთვე ილია წინამძღვრიშვილი და ლევან ჯანდიერი. ესკიზები მოუწონებიათ. ამასთანავე სარედაქციო კომისიას დაუდგენია წიგნის გამოცემა რაც შეიძლება დაჩქარდეს და ამიტომ ეთხოვოს იმ პირთა, რომელთაც დავალებული აქვთ ბიოგრაფიის და კრიტიკული განხილვის დაწერა, შემდეგ თავისი ნაშრომი წარმოუდგინოს სარედ. კომისიას არა უგვიანეს ამა წლის 1 სექტემბრისა. გარდა ამისა კომისიას გადაუწყვეტია სხვა და სხვა ტეხნიკურ კითხვების გასარჩევათ მაგალ., შრიფტისა, დაბეჭდვისა და სხვ., მოიწვიოს ცნობილი მცოდნე პირნი; გაიგზავნოს გამომცემლობის მდივანი ი. გედევანიშვილი ყვარელში და საგურამოში ფოტოგრაფიულ სურათის გადასაღებათ: ყვარელში—ილიას სახლი, ეზო და სოფელი ყვარელი., საგურამოში—ილიას სახლი და წიწამურის გზაზე მკვლელობის ადგილისა.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში, შემოდგომაზე ხილეულობის მეორე გამოფენა—ბაზრობა გაიმართება. ამავე დროისათვის დანიშნულია მებაღეების კრება. ამიტომ საორგანიზაციო კომიტეტმა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, გამოფენის მოსაწყობად 1500 მანეთი გადასდოს.

✦ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, როგორც ვიცით, განზრახული ქონდა ქუთაისის დასიდან ქ. ჩხეიძე და ბ. ქორიძე მოეწვია საგაისოდ სეზონში. ამის გამო გამგეობის წევრები მოსალაპარაკებლად კიდეც გაემგზავრენ ქუთაისს, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა და მათ უარი განუცხადებიათ. ეხლა, როგორც გავიგეთ, რეჟისორად ბ. წუწუნავას იწვევენ. რადგანაც ბ. წუწუნავას პირობა შეკრული ჰქონდა სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სექციასთან, ამიტომ გამგეობამ სექციას მიმართა თხოვნით, რომ ნება დართონ წუწუნავას, სექციასაც თანხმობა გამოუცხადებია,

## სხვილი ბურჟუაზია და მესამე სახელმწიფო დუმა.

საბრალო ოქტომბრისტები! ვერავინ ვერ დააკმაყოფილეს, ტყვილა ჩაუარათ ხუთი წლის საქმიანობამ და „კანონმდებლობამ". „იღვაწეს", „იშრომეს", აუარებელი კანონპროექტები გამოაცხვეს და ბოლოს გამოირკვა, რომ არც ერთი ეს კანონი ჯერ ერთი, რომ ხალხისათვის სასარგებლო არ ყოფილა და მეორე-ზოგიერთებს ფართო მასის ყურამდე არ მიუწევია. ასე, რომ მთელ სახელმწიფოში ან ისევ ძველი პირობებია და ან კიდევ გაუარესებული: გლეხობა უკმაყოფილოა, მუშები კიდევ უარესი. პირველთა მოთხოვნილებას და ყოფა-ცხოვრებას სრულიად ვერ აკმაყოფილებს 9 ნოემბრის აგრარული კანონი, მეორეთაც შეძენის მაგიერ ბევრი რამ ძველი პირობა გაუუარესეს ე. წ. მუშათა „სახელმწიფოებრივმა" კანონმდებლობამ. ამ ბოლო ხანს ირკვევა, რომ არც სხვილი ბურჟუაზია დარჩენილა მესამე დუმის კანონმდებლობით დაკმაყოფილებული. ჯერ იყო და—ამას წინეთ მოსკოვის ბირჟევიკებმა კრესტოვნიკებ-რიაბუშინსკების პირით პრემიერ მინისტრს, კოკოვცოვს მოახსენეს—მესამე დუმის მოღვაწეობა არც ისე გვეპიტნავება და ჩვენც გვინდა საკუთარის გზით სიარული. ეხლა კიდევ პეტერბურგის, მოსკოვის და სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ორგანიზაციითა წევრებს ვაჭრებისადმი მოწოდება გამოუშვიათ, რომელშიც ურჩევენ, მომავალ არჩევნებში ხმა ჩვენი კლასის წარმომადგენელს და ინტერესების დამცველებს მიეცითო. ამნაირათ, თუმც გაუბედავათ და მკრთალათ, მარა მაინც ხდება ის, რაც აუცილებელია, მაინც შორდებიან ერთმანეთს ის ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასები, როგორც წითელი საფრთხის წინაშე შეერთებულნი სხვილი ბურჟუაზია და მემამულეები იყვენ რუსეთში. ამ კლასს თავისი განსხვავებული ინტერესები აქვთ, და თუ რუსეთში ეს ორი მოწინააღმდეგე ძალა ამ ბოლო წლებში ერთად მიდიოდა, ეს აიხსნება, როგორც ზევით დასახელებულ მიზეზით—რამდენიმეთ მაინც წითელ საფრთხით აგრეთვე რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების შედარებით ნაკლებ განვითარებით. რუსეთის ბურჟუაზია ეხლახან სწორდება წელში, ამ ბოლო წლებში, ის თითქოს ბედავს საკუთარი ფეხით სიარულს. ეს კლასი, როგორც ეკონომიური კატეგორია, მემამულეთა მოწინააღმდეგე ბანაკს შეადგენს; და ამით აიხსნება. სწორეთ ის გარემოება, რომ ვაჭარ-მრეწველთა კლასი არ არის სრული კმაყოფილი 3 ივნისის დუმის მოღვაწეობით, მიუხედავათ იმისა, რომ ეს უკანასკნელი ყოველთვის ცდილობდა ხსენებული კლასის გულის მონადირებას. მოხდა ეს ამბავი იმიტომ, რომ მესამე დუმაში ბატონობა ეკუთნოდა არა ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელთ, არამედ მემამულეთ, რომლებიც ბუნებრივათ, უპირველეს ყოვლისა, თავის საჭიროებასა და ინტერესებზე ზრუნავდენ.

ამ ჟამათ სხვილი ბურჟუაზია თუმცა გაუბედავათ, მაინც ერთგვარ უკმაყოფილებას აცხადებს წარსული წლების პოლიტიკის მიმართ. თუ არსებული „კურსი" პოლიტიკისა არ შეიცვალა, უეჭველია, ეს უკმაყოფილება შემდეგ უფრო გარკვეულ სახეს მიიღებს.

## მეოთხე დუმის გარშემო.

(გაზეთებიდან).

**საგუბერნიო კომის..** მოსკოვში უკვე დაარსდა საგუბერნიო საარჩევნო კომისია.

**პურიშკევიჩის მოლოდინში.** კრასნოიარსკის შავრაზმელები ერთობ მოწყენილნი ბრძანდებიან: განყოფილების საქმეები სულ დაშვებული აქვთ და არც ფული გააჩნიათ. განყოფილების თავმჯდომარე ხუცესი ზახაროვი, რომელიც მეოთხე დუმაში სადეპუტატო კანდიდატათ ითვლება, პეტერბურგს გაემგზავრა, რომ გადაუვანა ითხოვოს. იმედის მისაცემათ და გამოსაცოცხლებლათ მოელიან ნეტარ მოსაგონარ პურიშკევიჩს.

**უწმ. სინოდის მოწოდება.** ამ დღეებში სინოდი გამოსცემს მოწოდებას, რომელშიც განმარტებული იქნება, რომ დვდლებს ეპისკოპოზის ნებართვის შემდეგ მიეცემათ უფლება არჩევნებში თავის კანდიდატურის წამოყენებისა. მოწოდება უკვე მოუწონებია უმაღლეს მთავრობას.

**როძიანკოს კანდიდატურა.** ეკატერინოსლავში მოხდა შავრაზმელებისა და ნაციონალისტების ბლოკის კრება, რომელზედაც იმსჯელეს როძიანკოს, ალექსეენკოს და კამენსკის კანდიდატურაზე. მოიწონეს პირველი კანდიდატი. ალექსეენკო არ დაჯდომიათ იმისთვის, რომ ის არ ყოფილა თანამგრძნობი ასოს საშკოლო პოლიტიკის, ფინლიანდიის უფლების შევეცის და თან ხელი მოუწერია იმ კანონ-პროექტზე, რომელსაც მიზნათ აქვს ებრაელთა „ჩერტა ასედლოსტის" მოსპობა.

**სენატი და ებრაელები.** როგორც ვიცით, სენატმა თავის უკანასკნელ განკარგულებით ბევრ ებრაელს წაართვა არჩევნების უფლება. ხარკოვის ებრაელებში, რომელთაც ამ განმარტებით ნახევარზე მეტს საარჩევნო უფლება წაერთვათ, ისეთი სულიერი განწყობილება არის, რომ, შესაძლოა, ბოიკოტიც გამოუცხადონ მეოთხე დუმას.

**ოკტომბრისტების მზადება.** მოსკოვში მოხდა ოკტომბრისტთა „პარტიის" ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელზედაც გუჩკოვმა მოხსენება წარადგინა მესამე დუმის მოქმედების შესახებ. კრებამ დაადგინა—შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ საარჩევნო პლატფორმა, რომელშიც, რასაკვირველია, უნდა ჩამოითვალონ ოკტომბრისტების ,,მოღვაწეობა'' მესამე დუმაში. როგორც გამოირკვა, ოკტომბრისტები ერთობ კარგ გუნებაზე ბრძანებულან და იმედი ქონებიათ, რომ მეოთხე დუმაში თავიანთ მემარჯვენე მეზობლებს რამდენსამე ათეულ სადეპუტატო ადგილს წაართმევენ.

**კადეტები.** ამავე დროს არც კადეტებსა სძინავთ და ენერგიულათ ემზადებიან არჩევნებისათვის. მათი საუკეთესო ძალების მიერ მზადდება გამოსაცემათ მოზდილი წიგნი, რომელშიც დაფასებული იქნება მესამე დუმის მოქმედება და მისი მოხელმძღვანელე ოკტომბრისტების როლი.

**ბობრინსკის ლექცია.** დონის როსტოვში გრ. ბობრინსკიმ ლექცია წაიკითხა მომავალ არჩევნებზე. მან [illegible] მესამე დუმას; სხვათა შორის [illegible]: „ჩვენ ნაციონალისტების პარტია სოფლელები ვართ და მუდამ სოფლის ბედზე ვზრუნავდით. დუმის ცხრა ნოემბრის კანონი, რომელიც აწესრიგებს აგრარულ საკითხს, თავისუფლებასაც შესძენს ჩვენს გლეხობას და სიმდიდრესაცო". ამის გამგონე მცირე რიცხოვან მსმენელთა ჯგუფს ხარხარი აუტყდა.

**მეოთხე დუმის გახსნა.** როგორც ,,ნოვ. ვრემია'' ირწმუნება მეოთხე დუმა გაიხსნება აუცილებლივ ამა წლის 12 ნოემბერს.

**ახალი გუბერნიიდან.** როგორც ვიცით, მესამე სათათბიროს ჰოლონეთის ტერიტორია ჩამოკვეცა და ეხლახან ხოლმის გუბერნია შექნა. ამ გუბერნიის რუსები დარწმუნებული არიან, რომ სამი დეპუტატის არჩევის ნება მიეცემათ. სხვათა შორის ცდილობენ გაიყვანონ ეპისკოპოსი ევლოგი.

**ამრჩეველთა რიცხვის გადიდება.** მოსკოვის ქალაქის გამგეობის სტატისტიკურ განყოფილების ცნობით მეორე კურიაში ამრჩეველთა რიცხვს შესამჩნევათ მოუმატია მესამე დუმის არჩევნებთან შედარებით.

**საეჭვო ფულები.** ბობრინჩევ-პუშკინი ,,ნოვოე ვრემ.'' არწმუნებს ოქტომბრისტებს, რომ ე. წ. საეჭვო ფულები არჩევნებზე არ იხარჯებაო და თან დასძენს: ოპოზიცია მუდამ ცდილობს, რომ ჩვენს პარტიას სახელი გაუტეხოს, მარა ჩვენ მაინც უთხალათ გართ და რუსეთის თავისუფლების მტრები ვერას გვაკლებენო. მისი აზრით გუჩკოვს აუცილებლივ აირჩევენ დუმაში.

**კადეტების კანდიდატი** ,,ნოვ. ვრემიას'' ცნობით სევასტოპოლში კადეტები წამოაყენებენ ცნობილ ჟურნალისტის, დოროშევიჩის კანდიდატურას.

**,,ბლალოჩინის'' საქციელი.** მოსკოვში ერთ ბლაღოჩინს მოუცლელობის გამო უარი განუცხადებია—შეედგინა სია საუდარში მოსამსახურეთა, რომელთ უფლება ეძლევათ დუმის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. ქალაქის სტატისტიკურ ბიუროს მოუწვევია ეს ბლაღოჩინი და განუმარტავს, რომ კანონის ძალით უოგველ წუთს შეიძლება ამისათვის მისი სამართალში მიცემა, ვინაიდან ბლაღოჩინები და სხვა დაწესებულებათა უფროსნი, რომელნიცვალდებულნი არიან სიები წარმოადგინონ, ერთნი არიან კანონისათვისო.

**მღვდლების გადაწყვეტილება.** ორანენბურგში სოფლის და ქალაქის სამღვდელოებამ გადასწყვიტა—არჩევნებში მხარი დაუჭირონ მარტო მემარჯვენეებს.

## დეპეშები.

(პ. ღ. ს.).

2 ივლისი.

**რუსეთი.**

**მოსკოვი.** დილის $4^1/_2$ საათზე მოსკოვის ჰაეროდრომიდან გაფრინდა დიბოვსკი პეტერბურგისაკენ.

# ფელეტონი

## ნუ შემრისხავთ!

ვარსკვლავები აციმციმდენ... აციმციმდენ ალმასივით,
ბროლ-ფიქალი ფირუზი ცა შემოქარგეს ოქროს სხივით.
მდუმარეთ მდგარ მთისა თხემებს გაცრეცილი ველის ნისლი
გარს ეხვევა ცახცახითა, ვითა ტბისა კიდეს ისლი.
საკინძ გახსნილ მდელოზედა გადაფურჩქვნილ ტურფა ვარდსა
ვილაც დაჰყეფს, დაჰკვნესარებს, ვილაც უმხელს ხვაშიადსა.
ეს ხომ ღამის მგოსანია, მიჯნურისგან მყოფი ხელათ,
თვისთა სწორთა ტრფიალთათვის სიყვარულის ჭირთა მთქმელათ.
ჩუ! იქ ვილას ხმა გაისმა საოცნებო მუსიკისა?
იქ მორცხვ იებს უგალობებს ნაკადული სალი კლდისა.
მკერდ-მოქარგულს საბალნაროს თეთრ-სიზმრების მთხზველ-მქსოველი
შეუსვენრათ დასთამაშებს მთის შიკრიკი სიო ნელი.
თქვენც ნუ მრისხავთ, ძმათა სულნო, ნუ შემრისხავთ ნუცა წამით
რომ ფარულათ, შეუმჩნევლათ თქვენსკენ ვქროდე ყოველ ღამით.
სულმა შვება ვერა ჰპოვა, თუმცა მოვლე ზღვა და ხმელი,
არ მშორდება კაეშანი, ფიქრ-გრძნობების მწარეთ მღრღნელი.
ნება დამრთეთ თქვენს აკლდამებს ვდარაჯობდე გუშაგივით,
მუნ განვიცდი განახლებას, გავბრწყინდები რწმენის სხივით.

**დ. თურდოსპირელი.**

## ვიქტორ ადლერი*)

**(მისი დაბადებიდან 60 წლის იუბილეს გამო)**

**კარლ კაუცკის მოგონება.**

სწორეთ ამ დროს გამოვიდა სამოღვაწეოთ ვიქტორ ადლერი. ის მიეკედლა პარტიას სწორეთ იმ დროს, როცა იგი საშინელ კრიზისს განიცდიდა. ის იყო მიუდგომელი მომრიგებელი, რომელიც ძმათა შორის ატეხილ ბრძოლაში მონაწილეობას არ ღებულობდა. არც ერთ მიმდინარეობას არ შეეძლო მის სახელთან შეეკავშირებია რაიმე ცუდი მოგონება. მარა ამასთან ერთად ის მოევლინა პარტიას, როგორც **მასწავლებელი.** თუ მე მაზე ათი წლით ადრე შევედი პარტიაში, სამაგიეროთ მე კიდევ ძებნაში ვიყავი და მსურდა მესწავლა სხვებისაგან. პირიქით, ადლერი შევიდა პარტიაში სავსებით შეიარაღებული მარქსიზმის თეორიით. ის მაშინ თეორეტიულათ ძლიერ მაღლა იდგა თავის ამხანაგებზე.

როგორც მომრიგებელმა და როგორც მასწავლებელმა, მან მალე მოიპოვა გავლენა ორივე ფრაქციაზე და ეს მით უფრო, რომ იგი არ ცდილობდა ამას, არამედ მთელი თავისი ძალ-ღონით ეხმარებოდა ამხანაგებს. 1886 წელს მან შესძლო შესდგომოდა ყოველ-კვირეული გაზეთის „თანასწორობის" გამოცემას, რომელიც ორივე ფრაქციამ თავის ორგანოთ აღიარა. მარა ეს აღიარება არ კმაროდა მაშინდელ სამწუხარო მდგომარეობაში, რომ ადლერს თავის პირად ნიჭთან ერთად პარტიისთვის არ შეეწირა თავისი ქონებაც.

ამნაირათ, დაბოლოს ადლერს საშვალება მიეცა ფრთა გაეშლევინებია თავისი ნიჭისათვის; რადგან ის ძლიერ დახელოვნებულია მორიგება-შეთანხმების საქმეში, მას დიპლომატის სახელი გაუვარდა, მარა ეს მართალია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ლაპარაკია პარტიის შიგნით გაჩენილ უთანხმოებათა ჩაქრობაზე. ასეთ დროს იშვიათად მოიპოვება ადამიანი უფრო მოხერხებული, ვინემ ადლერი. მარა ძლიერ შესცდებოდა ის, ვინც ადლერს მიაწერდა სიყვარულს დიპლომატიისა და დათმობისადმი იქ, სადაც ლაპარაკია პროლეტარიატის მტრებზე. ვიქტორ ადლერი თავიდან ფეხებამდი მებრძოლია, გატაცებული, აღფრთოვანებული, დაუნდობელი მებრძოლი, რომლის სიმკაცრე არაფერს კარგავს იმის გამო, რომ მას ძლიერ აღშფოთებასთან ერთად ეხერხება ყოვლის მომსპობი, მომწამლავი სარკაზმი.

არასოდეს ჩვენ პარტიას ისეთი გაბედულობითა და პირდაპირობით არ გაულაშქრია ძალა-უფლების მქონეთა წინააღმდეგ, როგორც ახლა ამას ადლერი სჩადიოდა. ადლერამდი პოლიცია და სასამართლო თვითონ უჩვენებდა საზღვრებს ჩვენს ამხანაგებს, რომლის გადაცდენა როგორც პრესაში, ისე კრებებზე, შეუძლებელი იყო. ადლერმა თავის თავს და პარტიას წინააღმდეგი მიზანი დაუსახა—გაეწრთვნა პოლიცია და სასამართლო და ჩაეყენებია ისინი განსაზღვრულ ჩარჩოებში. ეს მძიმე საქმე იყო. მარა გაბედულ და შეუდრეკელ მუშაობის წყალობით პროლეტარიატის ფაქტიურ უუფლებობის ალაგას შესაძლებელი შეიქნა ახალი ჩვეულებრივი უფლების დამყარება, რომელმაც არა თუ უზრუნველყო მისი კანონიერი უფლებები, არამედ ბევრ შემთხვევებში გააფართოვა კიდეც ისინი.

უთანხმოება, სულმოკლეობა და ერთმანეთისადმი უნდობლობა ხელათ მოისპო მუშათა შორის. ახალი ძალებით შეუდგენ ისინი ახალი ორგანიზაციის შექმნას. დიდი გულმოდგინებით ემზადებოდენ პარტიული კონგრესის მოსაწვევათ, რომლისთვისაც ადლერმა შეიმუშავა მშვენიერი პროგრამა, რომელიც პირველი მარქსისტული პროგრამა იყო ნემეცურ ენაზე. ის 1888 წლის ბოლოს მიღებულ იქნა გაინფელდში—3 წლით ადრე ერფურტის პროგრამისა.

გაინფელდის კონგრესმა ავსტრიაში საძირკველი ჩაუყარა სოციალდემოკრატიულ პარტიას. მან შექმნა საფუძველი, რომელზედაც სწარმოებს მისი ძლევამოსილი განვითარება. და ადლერს ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ამაში.

მარა ადლერი არ კმაყოფილდებოდა მარტო იმით, რომ ის იყო თეორეტიული ხელმძღვანელი, პოლიტიკური მეთაური და ორგანიზატორი. მას სურდა ცხოველი მონაწილეობა მიეღო მუშათა მოძრაობის ყველა დარგში. ის სწავლობდა მას არა მარტო თეორიულათ, არამედ პრაქტიკულათაც ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა მასში, უკავშირებდა მას საერთო სოციალურ მოძრაობას და თან ეცნობოდა მის ყველა წვრილმან მხარეებს.

ადლერის ეს თვისება სავსებით გამოჩნდა 1889 წელს, როცა პროფესიონალური ორგანიზაცია და გაფიცვები გამრავლდენ. ჭკვამ, ენერგიამ და ცოდნამ ამ დარგშიც უმთავრესი ხელმძღვანელის როლი ადლერს არგუნა. ჯერ კიდევ ახალი დროის პირველმა მოზდილმა გაფიცვამ, რომელიც 1889 წელს 4—27 აპრილს მოახდინეს ტრამვაის კონდუქტორებმა, შემთხვევა მისცეს მას თავი ესახელებია პროფესიონალურ მოძრაობაშიაც. თუ ეს გაფიცვა, რომელიც მაშინ ისე აღელვებდა ვენას, გამარჯვებით დაგვირგვინდა, ამას დიდათ ხელს უწყობდა ადლერის რჩევა და მის მიერ მოწყობილი ფულით დახმარება გაფიცულების.

ამ გაფიცვის გამო ადლერი და ბრეტშნეიდერი პასუხის გებაში მისცეს მცხოვრებთა წასისიანებისთვის მქონებელთა წინააღმდეგ, მთავრობის შეურაცხყოფისა და დანაშაულობის შექებისთვის. საქმე ირჩეოდა სასამართლოში, რომელიც სპეციალურათ დანიშნული იყო ყოველგვარი **ანარქისტული** აქტების გასარჩევათ. 27 ივნისს ადლერს გადაუწყვიტეს ოთხი თვით ციხეში ჯდომა და, რომ კიდევ უფრო გაეძლიერებიათ ეს სასჯელი, თვეში ერთ დღეს იძულებითი მარხვა უნდა დაეცვა. ასე სჯიდენ უჭმელობით მხოლოდ დიდ დამნაშავეებს. ეს იყო უძლურებით გამოწვეული შურისძიება სასამართლოისა იმიტომ, რომ ადლერმა ისარგებლა პროცესით, რათა დაეგმო განსაკუთრებული სამსჯავროების პრაქტიკა.

ადლერის აპელიაცია უარყვეს 7 დეკემბერს, მარა, სანამ ციხეში ჩაჯდებოდა,

*) იხ. „ჩვ. ცხ." № 2.

ელექტრო-საბეჭდავი ფერმისა და კ[illegible]

ქუთაისის განყოფილება სავაჭრო სახლი ს. მ. კირაკოზოვი, ბ. გ. ოგანოვი და ამხ.
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში. განყოფილებები: ქ. თფილისში, გიორგიევსკში, არდონში, პიატიგორსკში და გროზნაში.
С. М. КИРАКОЗОВЪ, Б. Г. ОГАНОВЪ и Ко
მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუნჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით.
полученъ огромный выборъ Сатины батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, ситца и другихъ тканей съ модной каймой. 3—1—3

**ბოდაიბო.** გუბერნატორის ბრძანებით ლენის მადნების მრეწველთა ამხანაგობამ მუშებს გამოუცხადა, რომ მათ მიეცემათ 4 აპრილამდის დაკავებული ხვედრი სახარჯო ფული. ამასთან ხელსაწყოს ჩაბარების დროს ამხანაგობა შეიყიდის იმ იარაღებს, რომლებიც კერძოთ მუშებს ეკუთვნის. მუშების უმრავლესობა ხელსაწყოს უკანვე უბრუნებს ამხანაგობას და დამშვიდებით სამრეწველო რაიონიდან გასვლისთვის ემზადება.

**პეტერბურგი.** სასწაულთმომქმედ ნიკოლოოზის სახელზე აგებულ საავათმყოფოში წინასწარ გამოძიების ქვეშ მყოფმა ტუსაღმა სიზოვმა სასიკვდილოთ დაჭრა დოქტორი გრეკერი.

**მოსკოვი.** კლინიდან იუწყებიან, რომ მოსკოვიდან 43 ვერსზე მფრინავი დიბოვსკი მატორის დაზიანების გამო ძირს დაეშვა.

**პეტერბურგი.** უმაღლესათ დამტკიცდა კანონპროექტი, რომლითაც ჯილდო მიეცემა უბედურ შემთხვევათაგან დამარცხებულ პირთ: რკინის გზების მოსამსახურეთ და სახელოსნოების მუშებს, აგრეთვე მათ ოჯახების წევრთ.

**კიევი.** კიევ-ვარშავის რკინის გზაზე კაზატინას ახლო გზიდან გადავარდა სწრაფი მატარებელი. მოსამსახურეთაგან მოკვდა ერთი, ხოლო მგზავრთაგან მძიმეთ დაიჭრა ერთი ქალი, დაშავდა რამდენიმე კაცი. ფიქრობენ მიზეზი ბოროტგანზრახვა იყო. ამ უბედურების გამო დაატუსაღეს ვიღაც უცნობი.

**პეტერბურგი.** გაზეთ ,,ნევსკი გოლოსის‘‘ რედაქტორს 28 ივნისის ნომერში მუშათა შორის საარჩევნო სამზადისის შესახებ სტატიის მოთავსებისათვის მიუსაჯეს 500 მ. ჯარიმა, თუ ვერ გადიხდის—სამი თვის ციხე.

**სევასტოპოლი.** იმ საქმის გამო, რომელიც ჯავშნიანი ხომალდის ,,იოანე ოქროპირის‘‘ მისივე კამანდის ხელში ჩასაგდებათ წაქეზებას შეეხება. 10 მატროსს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ხოლო 5 კაცს ექვსი წლით კატორღა.

**უცხოეთი.**

**პეკინი.** ტარბაგატაის დროებითი გუბერნატორათ დანიშნეს ტარბაგატაის ლინდჟი, რომელიც ევროპიულ სამოსელს ატარებს და ნაწნავიც მოკვეცილი აქვს; მაზრის უფროსის გარდა, ყველა ჩინოვნიკებმა მის მაგალითს მიბაძეს.

ურუმცის და კულჯინის დელეგატები შეიკრიბენ რუსეთის საელჩოში და ხელი მოაწერეს სინძიანის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც მოწონებულია უკანასკნელი რედაქციით პრეზიდენტის მიერ.

მთელი სინძიანის პროვინციის მთავარი მართვა გამგეობა რომელშიაც აგრეთვე შედის ალტაიცა და ტარბაგატაიც, ხელში აქვს ჩავარდნილი ურუმცის დუდუს.

**კაშგარი.** სინძიანის იანდუდუ ზომებს ღებულობს, რომ წესიერება აღადგინოს კაშგარში, სადაც გადმოყვანილი იქნება ელიისა და ურუმცის ჯარი: ალტაისა და არაბგატაის მხარეში სიწყნარეა.

**სოფია.** სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოტომანის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობა, ვითომ გაზვიადებულია აფიცრების შეთქმულობის შესახებ ხმები, აქ სტამბოლში ამით უფრო რწმუნდებიან, რომ მართლაც არსებობს საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია, რომლის ძალასა და მნიშვნელობას მთავრობა განზრახ ამცირებს. იმედი აქვთ, რომ მახმედ-შევფექტ ფაშის სამსახურიდან გადადგომა უკმაყოფილოებას რამდენიმეთ მაინც დაამშვიდებს. მინისტრები ტალატ ბეი და ჯალიდ-ბეი ადგილიდან გადადგომაზე დაჟინებით უარს აცხადებენ და ამასთან ნაზიმ ფაშის მოთხოვნაც, რომ ის იმ პირობით არის თანახმა სამხედრო მინისტრობა იკისროს, თუ გარნიზონიდან გაყვანილი იქნებიან კომიტეტის ერთგული აფიცრები, თვალს ვერ უხელს კომიტეტის მინისტრებს, რომ მდგომარეობა მეტათ საშიშოა. ეს მოთხოვნა უარყვეს და ამიტომ ნაზიმ ფაშამაც უარი განაცხადა თავის კანდიდატურის წამოყენებაზე. კომიტეტი თავის კანდიდატებს ეძებს. ფრთხილი საიდ ფაშა მზათაა მიიღოს მოთხოვნა და დატოვოს მთავარ მინისტრობა, რაც მთელი კაბინეტის გადადგომას ნიშნავს, მარა სხვა მინისტრები მას არწმუნებენ, რომ საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია სუსტია და არც შეუძლია მას რაიმე თვალსაჩინო საქმე მოაწყოსო. ამიტომ საიდ ფაშამ გადასწყვიტა დაუცადოს გარემოებათა სვლას და იმის თანხმათ იმოქმედოს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, უკმაყოფილებას აძლიერებს და მღელვარება მატულობს. მოსალოდნელია სერიოზული ამბები, თუ კიდევ განაგრძეს ჯიუტობა კომიტეტის მინისტრებმა და დროზე არ დაუთმეს მოწინააღმდეგეებს; სტამბოლში მაინც იმედი აქვთ, რომ კონსტიტუციის შემოღების წლის თავი, 10 ივლისი მშვიდობიანათ ჩაივლისო.

**ლივერპული.** ბირკენხენში გაიფიცენ ყველა დოკების მუშები; მიზეზი დამხლევე კასაში შესტან გადასახადის რაიონების შესახები უთანხმოება.

# უცხოეთი.

**საარჩევნო რეფორმა საფრანგეთში.** დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ პარლამენტში, როგორც იქნა, ხმის უმეტესობით გავიდა კანონ-პროექტი საარჩევნო სისტემის რეფორმის შესახებ. აი ამ კანონპროექტის უმთავრესი შინაარსი. დეპუტატებს ირჩევენ იმ სიების მიხედვით, რომელსაც შეადგენენ პოლიტიკური ჯგუფები. თითეული სია პროპორციონალურათ მიიღებს იმდენ სადეპუტატო ადგილს, რამდენ ხმასაც მიიღებს. თუ, მაგალითად ყველა პარტიების სიებმა მიიღო 50 ათასი ხმა და ასარჩევი კია 5 დეპუტატი, მაშინ თითეულ მათგანს წილათ მოდის 10 ათასი ხმა. ვსთქვათ—რადიკალების სიამ მიიღო 26 ათასი ხმა, სოციალისტების სიამ 9 ათასი, ზომიერმა რესპუბლიკელებისამ 14 ათასი და მონარქისტებისამ 1000, მაშინ რადიკალებს ერგებათ ორი ადგილი (26 ათასში 10 ათასი სრულიათ ორჯელ გამოიჭრება), ზომიერ რესპუბლიკელებს კი მხოლოთ ერთი (14 ათასში 10 ათასი სრულათ ერთხელ გამოიჭრება) დანარჩენ პარტიებს კი არც ერთი ადგილი არ ექნებათ, მარა რადგან ორი დეპუტატი კიდევ არის ასარჩევი, დანარჩენმა პარტიებმა ურთი-ერთ შორის შეთანხმება უნდა მოახდინონ; მაშინ შეუძლიათ, რომ მეტი ადგილი მოიგონ. ვსთქვათ, რადიკალები და სოციალისტები შეერთდენ, მაშინ მათ ექნებათ საერთოდ 35 ათასი ხმა; დეპუტატის ასარჩევი საჭირო ნორმა —10 ათასი ხმა სრულათ სამჯერ გამოიჭრება ამ რიცხვში, მაშ არჩევნებიც დასრულებულათ ჩაითვლება: ვინიცობაა, თუ კიდევ დარჩა დეპუტატი ასარჩევი, ხელახლათ მოხდება შეთანხმება. საარჩევნო კანონის პირველი მუხლი ამბობს, რომ თითეული საარჩევნო ოლქი 70 ათას მცხოვრებზე ირჩევს ერთ დეპუტატსო. ამის და მიხედვით პარლამენტის დეპუტატთა ყოფილი რიცხვი ცოტათი მცირდება, 597 ნაცვლათ 586 ხდება. აი ამ კანონის შინაარსი. მას კომპრომისის ხასიათი აქვს, პროპორციონალური არჩევნების პრინციპი სრულიათ არაა დაცული. ეს იმისთვის მოხდა, რომ ჩაგრიათ რადიკალები ამ რეფორმის აუცილებლობაში. ეს უკანასკნელნი ერთობ ეწინააღმდეგებიან პროპორციონალურ არჩევნებს, ვინაიდან ეს მათ ზიანს აძლევს. ამისათვის იყო, რომ პალატაში ამ კანონპროექტმა 217 საწინააღმდეგო ხმა მიიღო (მომხრე 339). მოსალოდნელია, რომ კომბი და კლემანსო სენატში მედგარ იერიშ მიიტანებენ ამ კანონ-პროექტზე, და თუ რამე გაუვიდათ, თავიანთ პარტიას ასე თუ ისე სასარგებლოთ გახდიან.

# რუსეთი.

(გაზეთებიდან)

**მესამე დუმის სკანდალები.** მესამე დუმის 5 წლის არსებობის განმავლობაში 38 სკანდალი და 92 უწესოება მომხდარა; ამ უწესოებათა უმეტესობაც იგივ სკანდლებია, მაგრამ უფრო რბილი. გარდა ამისა საგინებელი სიტყვების წამოსროლა თითქმის ყოველ სხდომაზე ყოფილა. ჩვენმა მკითხველებმა ალბათ კარგათ იციან, რომ ყველაფერი ეს დუმის მემარჯვენეთა საქმეა, რომელთ მიზანი სახალხო წარმომადგენლობის სახელის გატეხაა.

**ლენის მადაროებში.** სენატორი მანუხინის მოთხოვნით ლენის ამხანაგობამ, როგორც „კიევ. მის.“ ატყობინებენ, პასუხის მიცემა დააჩქარა. ამხანაგობა ერთობ გაბრაზებულია და მისი წარმომადგენლები იძახიან: მუშებმა სათამაშო საგნათ გაგვხადეს, თავზე წაგვასხდენ—და არაფრის გულისათვის მათ მოთხოვნილებებს არ შევასრულებთო. ამას, რასაკვირველია, მუშების შესაშინებლათ ამბობენ, თორემ მეორე მხრივ სულით და გულით მოწადინებული არიან საქმე შერიგებით დაასრულონ და მუშებს გაფიცვის დროის ხარჯების ანაზღაურებასთან ერთად მომავალშიც უკეთესი პირობები დაუდვან.—რევიზია მაინცდამაინც ვერ აკმაყოფილებს მუშებს: ამხანაგობას ისევ ძველი ადმინისტრაცია უდგას სათავეში, პოლიცია ისევ თავგასულათ იქცევა, რევიზორები მუშათა ყოფა-ცხოვრებას ნაკლებათ ეცნობიან და სხვ. მადაროების პატრონთა დასახასიათებლათ, კორესპონდენტს მოყავს ასეთი ფაქტი: ერთ დღეს გაუგიათ, რომ რევიზორები ერთი განაპირა ადგილის სარევიზიოთ მოდიანო; ხელათ დაუტვირთავთ სალი ხორცით ავტომობილი და უფრენიათ მუშებისათვის, მარა ცოტა ხანს შემდეგ გამორკვეულა, რომ რევიზორები სხვაგან მიდიან; მაშინვე უცნობებიათ და ხორციანი ავტომობილიც აქეთ გაქანებულა.

— 27 ივნისს იმავ გაზეთს ატყობინებენ, რომ მუშებმა ამხანაგობის პირობები არ მიიღეს და ხელახალი გაფიცვა გამოაცხადესო.

— რუსეთის მთავრობა დიდის ამბით ემზადება ფრანგების დამარცხების ასი წლის თავის სადღესასწაულოთ, რომელიც მოხდება მიმდინარე წლის აგვისტოში.

**ლენის მუშები.** 28 ივნისიდან „ვეჩერ. ვრ.“ დეპეშით ატყობინებენ ბოდაიბოდან, რომ მუშები ვერ დაუკმაყოფილებია ახალ პირობების და გადაუწყვეტიათ ლენის არემარისათვის თავის დანებება. მათის აზრით, მართალია, ახლა გამომუშავებული პირობები უწინდელზე უკეთესია, მაგრამ მაინც ბევრი რამ აკლია და მუშების გაცურებას ცდილობს. ჩვენაო—სთქვეს მუშებმა, როცა სენატორ მანუხინის რჩევით მუშაობას შევუდგეთ, იმედი გვქონდა, რომ რევიზია დაგვეხმარებოდა და სიმართლეს გამოარკვევდა, თან უნდა თვალსაჩინოთ გვეჩვენებინა მის-

---

მან მოაწყო აგიტაცია მომავალ პირველი მაისის დღესასწაულის გამო.

ივლისში პარიზში შესდგა საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი, რომელზედაც ადლერმა პირველივე წამიდან საერთო პატივისცემა დაიმსახურა. ამ ახალი ინტერნაციონალის პირველი კრებიდანვე ის ითვლებოდა მის ყველაზე უფრო გავლენიან ერთ-ერთ ხელმძღვანელათ. ამ კონგრესის ყველაზე უფრო საინტერესო იყო დადგენილება, რომ პირველ მაისს მოეწყოთ საერთაშორისო მანიფესტაცია; თვითოეულ ქვეყანას უფლება ეძლეოდა—ფორმა დღესასწაულისა თვითონვე გამოენახა.

მე ახლაც კარგათ მახსოვს საუბარი, რომლის დროს ადლერი არკვევდა ჩემთან საკითხს, თუ დემონსტრაციის რომელი ფორმა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ავსტრიაში. ის იმ დასკვნას მიადგა, რომ საჭირო იყო ამ დღის აღნიშვნა საყოველთაო გაფიცვითა და ვენაში მანიფესტაციის მოწყობით. სკეპტიკურათ. გავაქნიე მე თავი, როცა მოვისმინე მისი გეგმა: ვენის პროლეტარიატი, განსაკუთრებული კანონებით შებოჭილი და ისეთი ორგანიზაციის მქონე, რომელიც ეს-ეს იყო ახლათ იდგამდა ფეხს, მე მეგონა ნაკლებ შესძლებდა ასეთი ეკზამენის დაჭერას. მარა ენტუზიაზმმა, რომლითაც ფხიზელი პოლიტიკოსი, ადლერი იცავდა თავის წინადადებას, მეც გამიტაცა. ეს ენტუზიაზმი მან მთელ პარტიას გადასცა. შედეგმა დაგვიმტკიცა, რომ ის უსაფუძვლო გატაცებით არ იყო შეპყრობილი. პირველი მაისის დღესასწაული ვენაში მთელი ქვეყნის დღესასწაულებზე უფრო ბრწყინვალე და საგრძნობელი იყო და ასეთი დარჩა ის დღემდისაც. ერთი დაკვრით პროლეტარიატის თვითცნობიერება უმაღლეს საფეხურზე იქნა აყვანილი და მისი მნიშვნელობა აღიარეს, როგორც მოწინააღმდეგეებმა, ისე სხვა ქვეყნის ამხანაგებმაც. ავსტრიის სოციალდემოკრატია, რომელიც აქამდი პატარა „კარლიკს“ წააგავდა და საყოველთაო სიბრალულს იწვევდა, უცბათ გიგანტათ იქცა, რომელმაც ყველას აგრძნობინა შიში და პატივისცემა!

და დახეთ, კიდევ როგორ გაიზარდა მას აქეთ ეს გიგანტი!

ეს უმთავრესათ მით აიხსნება, რომ ავსტრიაში ძლიერ ადრე გაიგეს მასიურ გამოსვლების თანამედროვე ფორმათა მნიშვნელობა.

1893 წელში ბელგიის მასიურმა გაფიცვამ ავსტრიაში, სადაც მაშინ სწარმოებდა ბრძოლა საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის, ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მასიურის გაფიცვის იდეამ პარტიაში გააღვივა ცეცხლი ენტუზიაზმის. ადლერი მაშინ ერთი პირველგანი იყო, რომელმაც შეისწავლა ბრძოლის ახალი იარაღის არსება. ის არ ეკუთვნოდა მაშინ მრავალ რიცხოვან ამხანაგთა ბანაკს, რომლებიც უარყოფდენ საყოველთაო გაფიცვას და დისკუსიების გამართვის წინააღმდეგნიც კი იყვენ მის შესახებ. მარა ამასთან მან დაიცვა სიდინჯე და არ გაატაცებია თავი იმ აჩქარებულ და წინ დაუხედავ ელემენტებს, რომელთაც სურდათ ერთხელ ბრძოლაში გამომდგარი საშვალება ეხმარათ ყოველგვარ პირობებისა და გარემოებაში.

1894 წელს ვენის კონგრესზე ადლერის წინადადებით დაადგინეს, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლის დროს უკიდურეს შემთხვევაში მიემართათ საყოველთაო გაფიცვისათვის.

ამ ტაქტიკის გონიერი გამოყენებით ავსტრიის სოც. დემ. იგემა დიდი გამარჯვება საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლაში და დაბოლოს სავსებით გაიტანა თავისი. მართალია, ეს ერთი იერიშით არ მომხდარა, როგორც ამას მოელოდენ გახურებული თავის პატრონები 1894 წელს, არამედ შედეგი იყო მედგრისა და ხანგრძლივი ბრძოლის, რომელმაც ათ წელიწადზე მეტი გასტანა.

სანამ ეს მოხდებოდა, ადლერს არა ერთხელ შეხვედრია გატაცებული ელემენტების შემჩერებლის როლი. მძიმე და უსიამოვნო მოვალეობაა. ბევრ შემთხვევებში ადლერი მას ისე ასრულებდა, რომ არ დაუკარგავს ამხანაგების პატივისცემა და სიყვარული. ეს იმიტომ ხდებოდა ასე, რომ პარტიაში ყველამ იცოდა, რომ ადლერი „აჩერებდა“ მოძრაობას არა შიშით. საშიშ მომენტებში ადლერი ყოველთვის პირველ რიგში იდგა. და ყველა გრძნობდა, რომ მხოლოდ საღი და ყოველმხრივი გათვალისწინება ფაქტებისა და მათი შედარებითი მნიშვნელობისა აიძულებდა მას ხანდისხან შეეჩერეინა ამხანაგები.

და როგორც თვითონ ის, ისე ჩვენც შეგვიძლია კმაყოფილი ვიყოთ მისი ნამოქმედარის და მომავალსაც მტკიცე რწმენით ვუყუროთ, თუმცა ამ საიუბილეო დღესასწაულს ავსტრიის სოციალდემოკრატიის უკანასკნელი განხეთქილების ბნელი აჩრდილი ახლავს.

ამათ შეიქმნა ადლერის გამოცდილება და მოხერხება პარტიის მთლიანობისა და ერთიანობის დაცვის საქმეში ჩეხელ სეპარატისტთა წინააღმდეგობის წინაშე. ის დამარცხებით უნდა დაბოლავებულიყო, ვინაიდან ამ მიმდინარეობის ტენდენციები ვერ უგუება ინტერნაციონალურ სოც. დემოკრატიულ პარტიას. მარა პარტიის მთლიანობის დაცვის სურვილი იმდენათ ძლიერი იყო ადლერში, რომ ის დიდი ხნის მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ დასთანხმდა—ომი გამოეცხადებია სეპარატიზმისათვის.

უდიდესი საშიშროება, რომელიც ამ გარემოებამ მოიტანა, იმაში მდგომარეობდა, რომ მას შეეძლო ნაციონალური ბრძოლა გამოეწვია ნემეცებისა და ჩეხების პროლეტარებს შორის; ეს კი დიდი ხნით ფრთებს შეაჭრიდა ავსტრიის სოც.-დემოკრატიას. სეპარატიზმმა შეასუსტა ავსტრიის სოც.-დემ. სწრაფი განვითარება, მარა მისი შეჩერება მან ვერ შესძლო. და ბიქტორ ადლერს შეუძლია იმედი იქონიოს, რომ მალე ისევ შესაძლებელი გახდება ძველი მთლიანობის აღდგენა ავსტრიის მუშათა რაზმებში.

ამას დიდათ შეუწყობს ხელს ის გარემოება, რომ ადლერში ავსტრიის ყველა შეგნებული ინტერნაციონალურათ მოაზრე პროლეტარები ხედავენ იმ მეთაურს, რომლისადმი გრძნობენ უდიდეს ნდობას ყველა პროლეტარები—ჩეხები, პოლონელები, იტალიელები, არა ნაკლებ ნემეცებისა.

ადლერი ისეთივე ხელოვანია კალმის, როგორც ზეპირი სიტყვის და მისი მეცნიერული მომზადება საშვალებას აძლევდა მას გამოეთქვა თავისი იდეები სქელ ტანიან წიგნებში. მარა ეს გზა მას არასოდეს არ იტაცებდა. ის ეკუთვნის ჩვენი ქაღალდის საუკუნის იმ მოაზრეთა მცირე რიცხვს, რომელთაც ერთი წიგნიც კი არ გამოუქვეყნებიათ. ის ამჯობინებს სოკრატის ძველ მეთოდს და პირადი დამოკიდებულებით ცდილობს გავლენა მოახდინოს ადამიანზე. ასეთი გავლენა კი უფრო ღრმაა, ვინემ ის, რომელსაც წიგნების უმეტესობა ახდენს. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ახალთაობიდან გამოსულ მეთაურებს ავსტრიის სოციალდემოკრატიისა, დავინახავთ, რომ ყველანი ადლერის შკოლაში არიან გამოზრდილნი: და ეს როგორც თეორეტიკოსები, ჟურნალისტები და პარლამენტარიები, ისე პროფესიონალური მოძრაობის მოღვაწეებიც. თვითეულ მათგანს ის პირადათ ეხმარებოდა, ხელმძღვანელობას უწევდა პირველ ხანებში და მიმართულებას აძლევდა მათ გონებრივ განვითარებას. ამიტომ ბევრ პარტიის წევრთან მას აკავშირებს არა მარტო საერთო მიზანი, არამედ პირადი მეგობრობაც.

ყოველივე ეს გამოთქმული და აღნიშნული იქნება საიუბილეო დღესასწაულზე. ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ადლერი განუშორებლათ დგას პარტიაში. ამ დღესასწაულთან ერთად პარტია დღესასწაულობს თავის გამარჯვებებს. მარა მას ექნება აგრეთვე ოჯახური ხასიათი—ეს ხომ დღესასწაულია ავსტრიელ სოციალ დემოკრატების პარტიულ ოჯახისა, რომლის პატრიარქი შეიქნა ბიქტორ ადლერი—არა იმიტომ, რომ ის ხნიერია, არამედ იმიტომ, რომ მისდამი გრძნობდენ სიყვარულსა და ნდობას ყველანი, ვინც კი განიცადა თავის თავზე მისი სულიერი გავლენა.

კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“. რიის გვერდზე. 5—თ.

სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვ-ბის სავაჭრო სახლი

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას—ფინაიდან საზღვარგარეთისა და რუსეთის პირველ ხარისხოვან მწარმოებლებთან შეღავათიანი პირობებით არის შეკრული, შესაძლებლათ [illegible] დასწიოს ფასი

საწერ და კანცელარიის საჭირო ნივთებზე.

ახალი პრეისკურანტები კანცელარიებს მუქთად დაურიგდება. მ.—1—4

? დავით ქებაძე ? მ—1—4.

მკითხველების საყურადღებოთ

სავაჭროში ძმ. ფ. და ლ. ფილიპოვების სავაჭროში

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ფეჩები და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და პირ-საბანები და სხვა.

დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების

პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები, ფასები შესამჩნევად დაკლებულია. მ—1—4


თვის, თუ რა პირობებში გვიხდება მუშაობა. ახლა კი აგერ სამი კვირა გადის—მუშები ვერაფერ ცვლილებას ვერ ხედვენ რევიზორის იქ ყოფნას თითქმის არაფერი გავლენა არ მოუხდენია ლენის ამხანაგობაზე. როგორც გაფიცვის გამომწვევნი, ისე 4 აპრილის სისხლის ღვრის მეთაურნი არც ალმოუჩენიათ და არც იმედია, რომ ალმოაჩინონ. ბელოზეროვის რეჟიმი ისევ მეფობს მადნებში. რაც უნდა კარგი პირობები გამომუშავდეს, თუ მათი ამსრულებელნი ისევ ძველები იქნენ, საქმე წალმა არ წავა. ქაღალდი კი არ არის საქმის მაწარმოებელი და მმართველი, არამედ ადამიანი. ჯერ, როცა რევიზორების იქ ყოფნისას მაღაროთა პატრონების თავგასულობა ისევ ძველებურია, შემდეგ რა უნდა იქნეს? ერთი სიტყვით, მუშები სახეიროს ვერას ხედვენ და გადაწყვიტეს თავი დააწიონ იქაურობას. დღეს, როგორც მკითხველი სააგენტოს დეპეშიდან ჩვენს გაზეთში ამოიკითხავს, თუმც ჩვეულებისამებრ საქმეში გუბერნატორი ჩარეულა, მარა მუშები მაინც მტკიცეთ ადგანან თავიანთ გადაწყვეტილებას! ტოვებენ იმ შავბედით ადგილს, სადაც ამდენი ვაება გამოიარეს, სადაც ამდენი ამხანაგი დაასამარეს მათივ სისხლითა და ოფლით მორწყულ კარმიდამოში.

**მატროსის სამართალში მიცემა.** ადმირალ ებერგარდის განკარგულებით სევასტოპოლში სამხედრო-საზღვაო სამართალში მიცემული იყო ბრანენოსეც „იოანე ზლატოუსტის" მატროსი ზელენინი, რომელსაც ბრალათ ედებოდა შედგენა და გავრცელება გემების კამანდათა შორის აჯანყების გამოსაწვევ პროკლამაციებისა. „რუს. სლოვოს" სიტყვით; საქმე გაირჩეოდა 27 ივნისს ღახურულ კარებში.

**არჩევნები.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხელახლათ გაუმეორა ადგილობრივ აღმინისტრაციებს მინისტრის მოთხოვნა, რომ მეოთხე დუმის საარჩევნო სიების შედგენა და გამოცხადება უნდა მოხდეს უკვე ნაჩვენებ ვადაზე; ასეთ ვადათ ითვლება ევროპის რუსეთისათვის 1 აგვისტო, ხოლო პოლონეთისა, ენისეისა და ირკუტსკის გუბერნიისათვის 8 აგვისტო. პირველი საარჩევნო სიეზდი დანიშნული იქნება 6-8 სექტემბერს, ვინაიდან სამინისტროს იმედი აქვს, რომ ამ დროისათვის უკვე დასრულდება საარჩევნო სიების შესწორებაც. „რუს. სლ." სიტყვით, საარჩევნო სიეზდები მთელ იმპერიაში შეძლებისდაგვარათ დაინიშნება ერთად იმავე დროს.

## წერილი დონის როსტოვიდან.

დონის როსტოვში კავკასიიდან გადმოსახლებულთა რიცხვი ათას-ხუთას კაცს აღემატება. მართალია, ბევრი ისევ თავის ნებით უკან ბრუნდება, მაგრამ, სამაგიეროთ, ყოველ კვირაში ეტაპი მოდის და დანაკლის რიცხვს ისინი ავსებენ; გადმოსახლებულები შეგვიძლია დავყოთ სამ ჯგუფათ 1) ინტელიგენტები, 2) მუშები და 3) „ხაშმუშები", ესე იგი ყაჩაღები და ქურდ-ჯიბგირები. ინტელიგენტების უმრავლესობა ისეთი პირებია, რომლებიც განვლილ ხანაში მხსნელებათ მოგვევლინენ, მუშებს მხარში ამოუდგენ და მათთან ერთად მიდიოდენ. დღეს კი ისინი ცალკე გამდგარან და მუშებს რაღაც ალმაცერათ უყურებენ; სალამის მიცემასაც და მათთან ლაპარაკს აღარ კადრულობენ. თუ რომელიმე მუშა უწინდელ ნაამხანაგარ ინტელიგენტს გამოელაპარაკა, ის მაშინვე საათს ამოიღებს და გეტყვის: უნდა წავიდე, რადგან დრო არა მაქვსო. მათი ასეთი საქციელი მათვე არცხვენს, თორემ მუშებს გულს ვერ გაუტეხს. მუშები ამბობენ: ჩვენ ვიცოდით, რომ ინტელიგენტების უმრავლესობა გზაში დაგვტოვებდა და ზურგს გვაქცევდა, მაგრამ ამით ჩვენ დღეიდან აღარ დავბრკოლდებით და ჩვენს მიზანს მათ დაუხმარებლადაც მივაღწევთო.

საუბედუროთ, გადმოსახლებულ მუშებს აუტანელ პირობებში უხდებათ ცხოვრება. მუშების უმრავლესობა რუსეთის შორეულ ცივ მხარეებშია ნამყოფი. სამხედრო წესების მოხსნის შემდეგ შორეულ ქვეყნებიდან გაანთავისუფლეს და კავკასიის მახლობლათ, დონის-როსტოვში მოუყარეს თავი. იქნებ ვინმემ იფიქროს, დონის-როსტოვში, ერთი ის, რომ ისინი ნაცნობ-ნათესავების ახლოს იმყოფებიანო და, მეორე, როსტოვი საწარმოვო ქალაქია, იმუშავებენ და იცხოვრებენო. არც ერთი ჩვენ ეს არ წაგვადგა: ნათესავებს და მშობლებს პირადათ ვერც აქედან ვნახულობთ, შორეულ გუბერნიებში გადასახლებულთ მთავრობისგან ცოტაოდენი სახარჯო მაინც გვეძლეოდა; აქ ისიც გამოგვაცალეს ხელიდან და გაგვიშვეს ღვთის ანაბარათ. კიდევ არა უშავდა, რომ ქარხნების პატრონები ეჭვის თვალით არ გვიყურებდენ და გვღებულობდენ სამუშაოზე. ისინი 20-დან 2-საც არ ღებულობენ, მეტადრე მას შემდეგ, რაც „ხაშმუშმა" ჯიბგირებმა და ქურდებმა თავიანთი სამარცხვინო ხელობა აქაც განაგრძეს. ეს ვაჟბატონები, როგორც პოლიტიკურები, ისე არიან გადმოსახლებულნი და აქ კი ნამდვილი „პოლიტიკურების" სახელის გამტეხათ გამოდიან. თუ ამას თვითონ მუშებმა სასტიკი ყურადღება არ მიაქციეს, რამდენიმე ხანიც—და მერე ნამდვილი პატიოსანი მუშა ადგილობრივ მცხოვრების თვალში ქურდათ გადიქცევა. ქურდების და ჯიბგირების მოქმედებამ რომ სახელი გაუტეხა მუშებს და არსათ საქმეზე არ გვღებულობენ, ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან ერთ შემთხვევას, რომელიც მე თვითონ გადამხდა ამ ერთი თვის წინათ. დილით ქარხნის საყვირის ხმაზე ვიფიქრე: მოდი, წავალ ქარხანაში და იქნება ბედმა გამიღიმოს მეთქი, ფიქრი და ასრულება ერთი იყო, წავედი და სხვა მუშებთან ერთათ მეც ქარხნის კარებთან გავჩერდი და ველოდებოდით მუშების მიმღებს, სხვა—რუსები იყვნენ, მე მარტო ერთი ქართველი ვიყავი. რაკი გაიგეს ჩემი ვინაობა, ერთმა მეორეს გადაულაპარაკა: „კავკასიიდან გამოგზავნეს, მაგრამ თავიანთ ხელობას მაინც არ იშლიან; ღამით სადგურში დაძვრებიან, მგზავრებს ნივთებს პარავენ, დღისით მოდიან და ჩვენ სამუშაოზე გვეცილებიანო".

მუშების მიმღებიც გამოვიდა და მოუწოდა, რამდენი მუშაც სჭირდებოდა; სხვათა შორის მეც მოვხვდი. ვიფიქრე გამეხსნა ბედი და ლუკმა პური მექნება მეთქი, მაგრამ ჩემი ფიქრი უდღეური გამოდგა. მკითხეს სახელი და გვარი, გვარის გადაკეთება არ ვიკადრე და ვუთხარი ჭა—შვილი ვარ მეთქი. რაკი „შვილი" ალმოაჩინეს და არა ივან ივანიჩი ივანოვი, ხელი მკრეს და ქუჩაში გამომიძახეს, ამ სიტყვებით: წადი სადგურზე და სამუშაოს იქ იშოვიო.

აქედან აშკარაა, თუ რანაირ ზარალს და უბედურებას აყენებენ სამუშაოს მაძებარ ქართველებს ისეთი გარეწარი ვითომდა მუშები, რომლებიც მართლაც და ქურდობას არ ერიდებიან. მარა მიუხედავათ ინტელიგენტთა უმრავლესობის ჩამოშორებისა და გადმოსახლებულ გარეწართა მოქმედებისა, მუშები მაინც იმედით შეყურებენ მომავალს, მითი სცოცხლობენ და უძლებენ ყოველნაირ გაჭირვებას და დამცირებას.

**მ. ოფონიესშვილი.**

## ზუგდიდის ბიბლიოთეკის გარშემო.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საჭიროებაზე ლაპარაკი, მე მგონია, ახლანდელ დროში მეტია; ყველამ კარგათ იცის, თუ რა ძვირფასია საზოგადოებისათვის უფასო სამკითხველო, სადაც ყველას შეძლება ეძლევა ჟურნალ-გაზეთი უფასოთ იშოვოს. დიდხანს აკლდა ზუგდიდს ეს კულტურული დაწესებულება, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დიდ ვაივაგლახს შემდეგ, 6 მაისს მგოსან აკაკისა (რომლის სახელობაზეა აგებული) და დიდძალი საზოგადოების თანდასწრებით იგი გაიხსნა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ სამკითხველო არ არის მხოლოდ ქაღალდზე, არამედ ის ბევრ მკითხველს იზიდავს, რითაც დიდი სარგებლობა მოაქვს. მკითხველი იფიქრებს, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ბიბლიოთეკა-სამკითხველო თანდათან უნდა გაძლიერდეს, ფესვები მოიმაგროს, გამდიდრდეს წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით; მაგრამ სამწუხაროთ ასე არ ხდება; ამ ნორჩ კულტურულ დაწესებულებას მალე გაუჩნდენ ძირის გამომთხრელნი. ხომ მოგეხსენებათ ჩვენი ინტელიგენციის ამბავი, პირადი ინტერესები, კინკლაობა, ინტრიგანობა—მისი უდიდესი ნაწილის დამახასიათებელი თვისებებია. „მე რატომ არ ამირჩიეს", „ის რატომ არ აირჩიეს"—გაიძახიან. ასეთმა ინტრიგებმა იჩინა თავი ბიბლიოთეკის გარშემო. აი საქმე რაშია: სანამ ბიბლიოთეკა ფაქტიურათ არსებობას დაიწყებდა, მუშაობდა კომიტეტი, რომელიც სამკითხველოსათვის სახლის აშენებას და ფულის მოკრეფას განაგებდა. როდესაც ბიბლიოთეკა დაარსდა, ამ კომიტეტმაც თავისი არსებობაც გაათავა; ჩაეწერენ წევრები და აირჩიეს ბიბლიოთეკის გამგეობა; აღმოჩნდა, რომ არ იქნა არჩეული არც ერთი წევრი (ექ. მუჟირის გარდა) ძველი კომიტეტისა. ეს არაფერი. ამ ბოლო დროს რაღაცამ აადელვა ძველი კომიტეტის რამდენიმე წევრი; ისინი მოითხოვენ ხელ-ახალ არჩევნებს და გაიძახიან: „ახალი არჩევნები უკანონოა, ვინ დაამტკიცა ისო" და სხ. ეს შემთხვევა მით უფრო საინტერესოა, რომ ზოგიერთი მათგანი ერთ დროს სამშობლოს გაკეთებას გვპირდებოდა და ახლა კი საზოგადოების არჩეულ პირებს ინტრიგებით უმასპინძლდებიან და მთავრობას დამტკიცებას თხოვენ, როდესაც არც ძველი კომიტეტი იყო დამტკიცებული. გეცხვენოდესთ, ბ-ბო. გირჩევთ ინტრიგებს თავი დაანებოთ და ასეთ სასარგებლო საზოგადოებრივი დაწესებულებას სიცოცხლე გაუთხაროთ. დასასრულს უნდა ვთქვა, რომ კარგი იქნებოდა,—ძველ კომიტეტს ანგარიში ჩაებარებია გამგეობისათვის და აგრეთვე გაზეთის საშუალებითაც გამოექვეყნებია იგი.

**გ—ტა.**

რედაქტორ-გამომცემელი **ა. სულაქველიძე.**

### მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

18 აპრილიდან 1912 წ.

(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

**ქუთაისიდან გადის:**

**თფილისისაკენ:** ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33, 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

**ბათომისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

**ფოთისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. საღ., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

**შორაპნისაკენ:** სახ. № 29 4 ს. 45 საღ.

**ტყიბულისაკენ:** სახალხო № 42 4 ს. 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ. დილ.

**ქუთაისს მოდის:**

**თფილისიდან:** სახალ. № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ.

**ბათომიდან:** სახალხო № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღით.

**ფოთიდან:** სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

**შორაპნიდან:** სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.


სახალხო გაზეთი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ გრდემლი

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,

რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ იანვარშივე დაურიგდება.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე 40 კაპ.

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:

წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას საკომისიოდ მიეცემა 5%.

მდინარე ფაზისის პირათ, თეთრ ხიდთან

გაიხსნა საზაფხულოთ

მიტროფანე ლალიძის და ამხ-ის

ხელოვნური სამკურნალო და ხილეულობის წყლის

წყლილოთ სავაჭრო

სადაც ხილეულ-მადნეულ წყალს გარდა იყიდება საუკეთესო ქარხნის ლუდი, რძე, შოკოლადი, ნაყინი და სხვა. მ—1—4.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში.